სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება №151

ქ. თბილისი

19 ოქტომბერი 2018 წ.

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N1341024, 17.10.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაციის ფორმა პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს ზოგადი ინფორმაციის ფორმა პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N3-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ს შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ს შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს ბიოგრაფიული მონაცემების ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს თანხმობის წერილის ფორმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
12. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
13. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 19 ოქტომბრის № 151 ბრძანებით

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსის პროგრამა და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად გრანტების გაცემის მიზანია მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდის, აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესების, სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური და/ან ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა.
2. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსში (შემდგომში - კონკურსი) პროექტის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანების დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო კლასიფიკატორის (დანართი 11) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:
    1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
    2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
    3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
    4. აგრარული მეცნიერებები;
    5. სოციალური მეცნიერებები;
    6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
    7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.
3. გრანტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით;
4. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანებით დადგენილი წესითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობა და კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლია **მაგისტრანტს**, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული და აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი. გრანტის მიღების პერიოდში მაგისტრანტი უნდა იყოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა სემესტრის სტუდენტი.
2. კონკურსის მონაწილე მაგისტრანტს უნდა ჰყავდეს **სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი** – (პროექტში ანაზღაურების გარეშე ჩართული) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ემერიტუსი, საპატიო

პროფესორი, მოწვეული პროფესორი, რომელიც აკადემიურ ხელმძღვანელობას უწევს მაგისტრანტის მიერ დაგეგმილ/განხორციელებულ კვლევას. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროექტის შინაარსის შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

3. სასურველია, მაგისტრანტს ჰყავდეს **კონსულტანტი** (ანაზღაურების გარეშე), – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება პროექტში აღწერილ კვლევის სფეროს. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მულტიდისციპლინარულია, კონსულტანტი შესაძლებელია იყოს სათანადო მომიჯნავე მიმართულებით მოღვაწე მეცნიერი.

4. პროექტის პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია უსასყიდლოდ გამოყენებულ იქნეს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის ბაზა.

5. მაგისტრანტს კონკურსზე შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი.

6. **პროექტის განხორციელების შედეგად მაგისტრანტი ვალდებულია დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი და ფონდში წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი.**

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ 4 თვე, მაქსიმუმ - 10 თვე და განხორციელება უნდა დაიწყოს 2019 წლიდან.

2. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 6000 ლარს.

3. პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) სტიპენდია – არ უნდა აღემატებოდეს 1200 ლარს;

ბ) სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების, საველე სამუშაოებისა ან/და ექსპედიციის ხარჯი;

გ) პროექტის მიზნებისათვის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოპი, სემინარი და სხვა);

დ) თემის მიზნებისათვის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯები;

ე) სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები – შეიძლება მოიცავდეს სწავლის სემესტრულ გადასახადს, პროფესიული ლიტერატურის შეძენის ან/და პროფესიული ასოციაციის წევრობის ხარჯები და სხვა.

4. საგრანტო დაფინანსება არ ითვალისწინებს პროექტში ჩართული სხვა პირების (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, კონსულტანტი) შრომის ანაზღაურებას.

5. სასწავლო-კვლევითი გრანტით დაუშვებელია ლეპტოპის, პლანშეტური კომპიუტერის, მობილური ტელეფონის, საოფისე პრინტერის და/ან სკანერის, კარტრიჯის, უწყვეტი კვების წყაროს და უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი, სატრანსპორტო საშუალების შეძენა.

6. პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანადაფინანსებას. თანადაფინანსებაში არ ჩაითვლება სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი ან სტიპენდია.

7. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებს.

8. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის მაგისტრანტმა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში, GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:

ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (ნიმუში - დანართი 2, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ბ) აბსტრაქტი (დანართი 3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) საპროექტო წინადადება (დანართი 4, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ნიმუში - დანართი 5, ივსება GMUS-ში);

ე) პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (ნიმუში - დანართი 6, ივსება GMUSში).

ვ) მაგისტრანტის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **პროფესიული ბიოგრაფიები (CV)** – მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინდივიდუალურად რეგისტრირდებიან GMUS-ის მეცნიერის პროფილში. მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება ქართულენოვანი CV-ები, ექსპორტირდება და იტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის წარდგენისას მაგისტრანტის მიერ (დანართი 7, ივსება და იტვირთება GMUS-ში); უცხოელი სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბიოგრაფია, ნებადართულია, წარმოდგენილი იყოს ნებისმიერ ფორმატში PDF დოკუმენტის სახით, ინგლისურ და ქართულ ენებზე.

ზ) ცნობა მაგისტრატურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მაგისტრანტის სწავლის შესახებ. აუცილებელია, ცნობაში მითითებული იყოს: უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების სახელწდება, სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება; მაგისტრატურის სტუდენტის ვინაობა, პირადი ნომერი, სტუდენტის აქტიური სტატუსი და სასწავლო სემესტრი 2018 წლის შემოდგომის სემესტრის მდგომარეობით. ცნობა დადასტურებული უნდა იყოს ფაკულტეტის/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე პირ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ითა და დაწესებულების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ასევე მაგისტრანტის ნიშნების ფურცელი/ტრანსკრიპტი. დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან კონკურსის ელექტრონული რეგისტრაციის დასრულების თარიღამდე. (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);

თ) კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი (დანართი 8). უცხოელი მეცნიერის შემთხვევაში, თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურენოვანი ორიგინალისა და ქართული თარგმანის სახით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება PDF დოკუმენტის სახით GMUS -ში);

ი) თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ კვლევის განხორციელების ბაზა არის მაგისტრანტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარდა სხვა იურიდიული/ფიზიკური პირი. თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი 9-ის ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით).

კ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს მაგისტრანტის უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებიდან, თანხისა და მიზნობრიობის მითითებით. ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს უსდ-ს სატიტულო ბლაკზე და დადასტურებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ „**განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ**“ (ნიმუში, დანართი 10, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ფიზიკური პირების ხელმოწერებით, იურიდიული პირის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა მაგისტრანტმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) სტუდენტის აქტიური სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი სემესტრის მითითებით;

ბ) მიზნობრივი საბანკო ანგარიშის (ლარის) რეკვიზიტები, რომელზეც მოხდება მხოლოდ გრანტის თანხის ჩარიცხვა და არ დაირიცხება სარგებელი.

4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

5. პროექტის დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენაზე პასუხისმგებელია მაგისტრანტი.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი – 2018 წლის 19 ოქტომბრიდან - 7 ნოემბრის 16:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი – 2018 წლის 9 ნოემბრის 16:00 საათამდე.

2. **ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს პროექტის შინაარსობრივი ნაწილისა და თანდართული დოკუმენტების ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, რომელშიც ჩარიცხულია კონკურსის მონაწილე მაგისტრანტი, რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა, სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის (წესდება/დებულება) ატვირთვა. თუ იურიდიული პირი არ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ასევე საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან (გაცემული 2018 წელს).

ბ) კონკურსის მონაწილე მაგისტრანტის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა, ბიოგრაფიული მონაცემების შევსება და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ატვირთვა. თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

გ) პროექტის რეგისტრაცია მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსზე, კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი).

3. **ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებში ასატვირთი დოკუმენტების შეუსაბამოდ წარმოდგენის შემთხვევაში ფონდი დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;

2. ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) ინფორმაციის არასრულად, ან დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, ან ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი კონკურსიდან მოხსნის პროექტს;

3. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილია არასრულად ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანების მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი წესებით.

2. პროექტებს აფასებს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომელიც განიხილავს კონკურსზე წარმოდგენილ განაცხადებს და გამოავლენს გამარჯვებულ პროექტებს.

3. კონკურსის საერთო ბიუჯეტი თანაბრად გადანაწილდება ამ ბრძანების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი 1-7 სამეცნიერო მიმართულებებზე.

4. თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრული თანხიდან ნაშთის დარჩენის შემთხვევაში აღნიშნული ნაშთი მოხმარდება დაფინანსების გარეშე დარჩენილ, მიმართულებებს შორის უმაღლესქულიან პროექტებს, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N130/ნ ბრძანების დანართის მე-10 მუხლის თანახმად, მიღებული აქვთ 18 ან მეტი ქულა.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას კონკურსში გამარჯვებული პროექტის წარმდგენ მაგისტრანტთან, შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

2. საგრანტო ხელშეკრულება პროექტის განხორციელების სხვა პირობებთან ერთად ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებით სარგებლობას გრანტის მიმღებსა და გრანტის გამცემს შორის ქვეყანაში მოქმედი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება მაგისტრანტებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

4. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (არაუგვიანეს 20 დღის ვადაში) მაგისტრანტს ავანსის სახით გადაერიცხება მთლიანი ბიუჯეტის 80%, ხოლო დარჩენილი 20% გადაირიცხება მაგისტრანტის მიერ ფონდში წარდგენილი საბოლოო ანგარიშის განხილვისა და ფონდის მიერ შედგენილი აქტის შესაბამისად.

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანებით დადგენილი წესით, რომლის დროსაც ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ადგენს შესაბამის

განხილვის აქტს.

2. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:

ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

ბ) პროგრამული მინიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია, პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

3. გრანტის მიმღები ვალდებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში და განხორციელებული პროგრამული აქტივობების ანგარიში:

ა) გრანტის ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედანის, ფოტოასლების ან ელექტრონული (დასკანირებული) სახით;

ბ) პროგრამული აქტივობების შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტისა და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელისგან ხელმოწერილი პროექტის ეტაპების განხორციელების დადასტურების წერილის სახით; იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მაგისტრანტი ვერ წარმოადგენს აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს, ის ვალდებულია, ფონდში წარადგინოს პროექტის განხორციელების პროგრამული ანგარიში დადგენილი ფორმის შესაბამისად. პროგრამული ანგარიშის საფუძველზე მოხდება საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი აქტივობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება და საბოლოო გადაწვეტილების მიღება პროექტის შეჩერების, შეწყვეტის ან ვალდებულებების შესასრულებლად დამატებით ვადის განსაზღვრის თაობაზე.

4. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პროექტის განხორციელების პროგრამული ანგარიშის შემოწმებისას ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს მონიტორინგი საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.

5. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანების მე-15 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, საკონფერენციო აბსტრაქტი, პრეზენტაცია და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში

არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას.

2. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა "შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით".

3. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.

დანართი №2
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2018 წლის 19 ოქტომბრის № 151 ბრძანებით

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System) პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

I გვერდი

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

1	პროექტის სათაური (ქართულად)	
	Project Title (in English)	
2	პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	4-დან 10 თვის ჩათვლით
3	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
4	თანადაფინანსების თანხა	
5	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
6	მაგისტრანტი(სახელი, გვარი)	
	Master Student (Name, Surname)	
7	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	
	Higher Education Institution	
8	სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება	
	Master program title	
9	სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	
10	პროექტის აბსტრაქტი	PDF ფაილის ატვირთვა
11	პროექტით გათვალისწინებული კვლევის საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 ტერმინისა)	
12	საპროექტო წინადადება (ქართული)	PDF ფაილის ატვირთვა

13	**სამეცნიერო მიმართულებები**	
	მიმართულება	
	ქვემიმართულება	
	1	
	2	

	3	

14	**არასასურველი ექსპერტები**		
N	სახელი, გვარი	სამეცნიერო მიმართულება	აფილიაცია
1			
2			
3			

შენიშვნა: ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ მაქსიმუმ 3 ექსპერტი

II გვერდი

ორგანიზაცია

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ		
1	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	
2	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	
3	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი/რექტორი (სახელი გვარი)	
4	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი	
5	ელ. ფოსტა	
6	ტელეფონი	
7	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
8	უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების თანადაფინანსების ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	PDF ფაილის ატვირთვა

ინფორმაცია სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
9	საიდენტიფიკაციო კოდი	
10	იურიდიული პირის სახელწოდება	
11	უფლებამოსილი პირი (სახელი, გვარი)	
12	ელ.ფოსტა	
13	ტელეფონი	
14	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
15	თანხმობის წერილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	PDF ფაილის ატვირთვა
16	ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
17	პირადი ნომერი	
18	ელ. ფოსტა	
19	ტელეფონი	
20	თანხმობის წერილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	PDF ფაილის ატვირთვა

III გვერდი

სამეცნიერო გუნდი

ინფორმაცია პროექტში ჩართული მკვლევრების შესახებ		
მაგისტრანტი		
1	პირადი ნომერი	
2	სახელი, გვარი	
3	ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა
4	ცნობა მაგისტატურის სწავლის შესახებ და ნიშნების ფურცელი	PDF ფაილის ატვირთვა
5	ელ. ფოსტა	
6	ტელეფონი	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი		
7	პირადი ნომერი	
8	სახელი, გვარი	
9	აკადემიური ხარისხი	
10	თანამდებობა	
11	აფილიაცია (უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/ ცენტრი/ფაკულტეტი)	
12	ელ. ფოსტა	
13	ტელეფონი	
14	ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა
კონსულტანტი (დამატების ოპცია)		
15	პირადი ნომერი	
16	სახელი, გვარი	
17	აკადემიური ხარისხი	
18	თანამდებობა	
19	აფილიაცია (უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/ ცენტრი/ფაკულტეტი)	
20	ელ. ფოსტა	
21	ტელეფონი	
22	ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა
	CV in English (უცხოელის შემთხვევაში)	PDF file upload
23	კონსულტანტის თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of commitment (from foreign scientist)	PDF file upload

შენიშვნა: თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი ან კონსულტანტი უცხოელია, საჭიროა, ბიოგრაფია წარმოდგენილი იყოს ინგლისურ და ქართულ ენებზე. უცხოელი კონსულტანტისათვის ასევე საჭიროა, წარმოადგინოთ თანხმობის წერილის ორიგინალი (ინგლისურ ენაზე) და მისი ქართული თარგმანი, დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

IV გვერდი

გეგმა-გრაფიკი

ივსება GMUS-ში

V გვერდი

ბიუჯეტი

ივსება GMUS-ში

დანართი №3
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის

2018 წლის 19 ოქტომბრის № 151 ბრძანებით

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსი

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
General Information About the Project

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	
Higher Education Institution	
სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება	
Master Programme Title	
მაგისტრანტი (სახელი, გვარი)	
Master Student (Name, Surname)	
პროექტის სახელწოდება ქართულად	
Project Title	

აბსტრაქტი

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300 სიტყვა.)

საკვანძო სიტყვები

(5 საკვანძო სიტყვა)

Abstract

(Recommended word count - 300)

Key words

(no more than 5 terms)

დანართი №4
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 19 ოქტომბრის № 151 ბრძანებით

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსი

საპროექტო წინადადება

რეკომენდებულია: საპროექტო წინადადების მაქსიმალური საერთო მოცულობა - 6 გვერდი ცხრილების, დიაგრამების, ნახაზებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიის ჩათვლით; გვერდის ველები: მინიმუმ 1,5 სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - მინიმუმ 1, შრიფტი: Sylfaen; ზომა: 10.

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება ქართულად	
პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
თანადაფინანსება (ლარი)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	
სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება	
მაგისტრანტი (სახელი, გვარი)	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	
კონსულტანტი (სახელი, გვარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

1. სამეცნიერო -კვლევითი პროექტი

ა) კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება

(პროექტის/კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; შემოთავაზებული კვლევის მეცნიერული სიახლის/ინოვაციური მიდგომების აღწერა; პრობლემის ფორმულირება. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300 სიტყვა)

ბ) კვლევის მიზნები და ამოცანები

(აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები; ჩამოთვალეთ და მოკლედ აღწერეთ პროექტის საბოლოო მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები და ეტაპები, მოსალოდნელი შედეგების მითითებით. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200 სიტყვა)

გ) კვლევის მეთოდოლოგია

(კვლევის ეტაპებისა და დიზაინის აღწერა - მიდგომა/თანმიმდევრულობა/თავისებურება; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; მეთოდებთან დაკავშირებული შეზღუდვები/ლიმიტები და უპირატესობები. კვლევის განხორციელების ეტაპები და აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს გეგმა-გრაფიკს, რომელიც წარმოადგენს საპროექტო წინადადების მნიშვნელოვან ნაწილს და ივსება GMUS-ის ბაზაში. სიტყვების რეკომენდებული მოცულობა 300 სიტყვა.

დ) კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება ან/და პოტენციური პრაქტიკული გამოყენება და კვლევის შედეგების გავრცელების (დისემინაციის) გეგმა

(დაასაბუთეთ, რა გამოწვევების გადაჭრაზეა ორიენტირებული კვლევითი პროექტი, კვლევის შედეგების მნიშვნელობა ქვეყნის, რეგიონის ან მსოფლიოსათვის და პოტენციური გავლენა დარგსა და ფართო საზოგადოებაზე; მიღწეული შედეგების დისემინაციის გეგმა და გზები. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200 სიტყვა.)

ე) ინტერდიციპლინურობა

აღწერეთ კვლევის ინტერდიციპლინური ხასიათი შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებების მითითებით. დაასაბუთეთ მათი შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებული კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200 სიტყვა.)

2. აკადემიური კომპონენტი

ა)მაგისტრანტის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო -კვლევით პროექტებში, სამეცნიერო პროდუქტიულობა და სტატიები

(აღწერეთ თქვენი გამოცდილება და მისი შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად. სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა - 200 სიტყვა)

ბ) პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა

(აღწერეთ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა. აგრეთვე, აღწერეთ და დაასაბუთეთ პროექტის მიზნებისათვის დაგეგმილი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში და სამეცნიერო კვლევითი ვიზიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მნიშვნელობა. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200 სიტყვა.)

